ოქმი N4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს
მორიგი სხდომის

ქ. ოზურგეთი

2019 წლის 12 დეკემბერი

12 საათი

თავმჯდომარეობდა: ლელა საჯაია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

ესწრებოდნენ: ეროდი გორდელაძე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ქეთევან ვასაძე- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი; საბჭოს წევრები: დავით დარჩია, გიორგი ღურჯუმელიძე, ნანული ორაგველიძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი, გელა ჩავლეშვილი, ლალი სიჭინავა, მაია ზოიძე, ბახვა დოლიძე, ლევან ნინიძე, გენო ჩავლეშვილი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ლელა საჯაია მიესალმა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობას ესწრება ყველა წევრი და საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 13 ხმით.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,გენდერული თანასწორობის საბჭოს „ დებულების დამტკიცების შესახებ"- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ლელა საჯაია;

თანამომხსენებელი : ეროდი გორდელაძე;

საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მითების მიზეზის შესახებ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება ემსახურება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭოს" დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის N24 დადგენილებაში, სამუშაო პროცესში გამოვლენილი საკითხების დაზუსტება და დახვეწას, ასევე „გენდერული თანასწორობის საბჭოს" წინაშე არსებული გამოწვევების სამართლებრივად დარეგულირებასა და სრულყოფას. მან ყურადღება გაამახვილა პროექტის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებზე:

ბ.ა) ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭოს" დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის N24 დადგენილების მნიშვნელოვან და მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ,,გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის იმპლემენტაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე საბჭომ მუნიციპალიტეტში შექმნას გენდერული თანასწორობის

უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები, უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა, დანერგოს გენდერული სტატისტიკა, ხელი შეუწყოს სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის სისტემის ჩამოყალიბებას, გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას, მოამზადოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია და მისგან გამომდინარე მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა, ჩამოაყალიბოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, გააძლიეროს თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან სამოქალაქო სექტორიდან, მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვაში, რომლითაც უზრუნველყოფს ქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებების გამოვლენას და გათვალისწინებას, გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

საბჭოს წევრებმა 15 ხმით მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს და აღნიშნეს, რომ აუცილებელია დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს საბჭოს დებულებაში არსებული სამართლებრივი მექანიზმები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა;

ლელა საჯაია----------/ლ.საჯაია/

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე